თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 16 დეკემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 6

2022 წლის 16 დეკემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. 2022 წელს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შეჯამება;
2. 2022 წლის ინსტიტუტის ფინანსური საქმიანობის ანგარიში;
3. ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდით სარგებლობის შესახებ „განმარტებითი ბარათი“-ს განხილვა (დანართები 2 და 3);
4. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. 2022 წელს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შეჯამება.

ავთანდილ სონღულაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მიერ 2022 წელს შესრულებული სამეცნიერო მუშაობის მოკლე ანგარიში: განყოფილებას, კონკურსის შედეგად, დაემატა სამი ახალი თანამშრომელი: ქეთევან მანია, შორენა მურუსიძე და ალექსანდრე დაუშვილი, რომლებსაც მოუხდათ ყოფილი თანამშრომლების მიერ დაწყებული სამუშაოს გაგრძელება. დროის სიმცირის გამო, მათ წლიური თემების წარმოდგენის ვადად განესაზღვრათ 2023 წლის თებერვლის ბოლო. დანარჩენი ათი თანამშრომლის წლიური ნაშრომების განხილვა დაწყებულია, შედგენილია გრაფიკი. განხილვა სრულდება 26 დეკემბერს. თანამშრომელთა მიერ დასრულებული სახით წარმოდგენილი წლიური ნაშრომების ელ-ვერსიები გადაეცემა დირექციას და სამეცნიერო საბჭოს. ყოველი თვის პირველ ორშაბათს, ტრადიციულად,

განყოფილებაში ტარდება სემინარები, თემატიკა წინასწარ არის ცნობილი. ბოლო სემინარზე წარმოდგენილი იქნება სრული ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის მიერ მიმდინარე წელს შესრულებული სამეცნიერო სამუშაოს შესახებ.

მარიამ ჩხარტიშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის მიმდინარე წლის ანგარიში: განყოფილებას, კონკურსის შედეგად, დაემატა ერთი თანამშრომელი, რომელიც წლიური თემის შესრულებას, სავარაუდოდ, მოასწრებს. წინაღმდეგ შემთხვევაში, მასაც გაუგრძელდება ნაშრომის წარმოდგენის ვადა 2023 წლის თებერვლის ბოლომდე. განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო ფორუმებში, აქვთ პუბლიკაციებიც. ყველა თანამშრომელი დროულად წარმოადგენს წლიურ ნაშრომებს. წლის ბოლოს განყოფილების ორგანიზებით დაგეგმილია სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება.

ლევან გორდეზიანმა წარმოადგინა ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის მოკლე ანგარიში და აღნიშნა, რომ ყველა თანამშრომელი დროულად წარმოადგენს 2022 წლის წლიურ ნაშრომებს.

როლანდ თოფჩიშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა, კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში: მან აღნიშნა, რომ 2022 წლის ზაფხულში წარმატებით განხორციელდა ეთნოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში, რომლის დროსაც მოპოვებული იქნა ახალი ეთნოლოგიური მასალა, რომელიც შემოტანილი იქნება სამეცნიერო მიმოქცევაში და ყველა თანამშრომელი დროულად წარმოადგენს წლიურ ნაშრომებს.

ლიანა ბითაძემ წარმოადგინა ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ანგარიში და აღნიშნა, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები ასრულებენ წლიურ თემებზე მუშაობას და ნაშრომების ელ-ვერსიები დროულად იქნება წარმოდგენილი. მიმდინარე წელს მათ ასევე გამოაქვეყნეს რამოდენიმე პუბლიკაცია.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგის ჭეიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა და სხვა. აღინიშნა, რომ 2022 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო ინსტიტუტისათვის; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით ოქტომბრის თვეში ჩატარდა საკმაოდ წარმომადგენლობითი კონგრესი, რომელის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებმა 18 ქვეყნის წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან. სულ წამოდგენილი იყო 152 მოხსენება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და დაიბეჭდა თეზისები; ასევე, ქალაქ ერევანში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც ინსტიტუტის ხუთმა თანამშრომელმა წარადგინა მოხსენება. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს პუბლიკაციები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, დაიბეჭდა მონოგრაფიები; ისინი

ასევე მონაწილეობდნენ სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც განხორციელდა როგორც ინსტიტუტის, ასევე სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ისევე როგორც გასულ წელს, მიმდინარე წელსაც განყოფილებების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წლიური ნაშრომების დროული შემოწმება და თითოეულმა თანამშრომელმა, თავისი დასრულებული ნაშრომი ელექტრონულ ფორმატში გადააგზავნოს ინსტიტუტის კანცელარიაში.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი საკითხს, რომ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 20 დეკემბერი, ხოლო დასრულებული სახით წლიური ნაშრომების წარმოდგენის ვადად - 2023 წლის 25 იანვარი (გარდა აღნიშნული რამოდენიმე შემთხვევისა).

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: 2022 წლის სამეცნიერო სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 20 დეკემბერი, ხოლო დასრულებული სახით წლიური ნაშრომების წარმოდგენის ვადად - 2023 წლის 25 იანვარი (გარდა რამოდენიმე შემთხვევისა).

მოისმინეს:

2. 2022 წლის ინსტიტუტის ფინანსური ანგარიში.

გიორგი ჭეიშვილმა მოკლედ მიმოიხილა ინსტიტუტის 2022 წლის ფინანსური ანგარიში. ინსტიტუტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი იყო 442 000 ლარი, საიდანაც 404 000 ლარი მოხმარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას. მუხლში - „საქონელი და მომსახურება“ გათვალისწინებული იყო 38 000 ლარი. აღნიშნული თანხა დაიხარჯა: კომუნალურ გადასახადებში, საკანცელარიო და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად, ქვეყნის შიგნით მივლინებაში (ეთნოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთის სოფლებში), ინსტიტუტის კრებულების დაკაბადონებასა და გამოცემისათვის; შეძენილი იქნა სამეცნიერო ლიტერატურა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი საკითხს, რომ ინსტიტუტის 2022 წლის ფინანსური საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ინსტიტუტის 2022 წლის ფინანსური საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

მოისმინეს:

3. ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდით სარგებლობის შესახებ „განმარტებითი ბარათი“-ს განხილვა (დანართები 2 და 3).

გიორგი ჭეიშვილი: გაცნობებთ, რომ სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, დაიწყო არქივში დაცული მუსიკალური ფონდის გაციფრება. თსუ-ს კანცლერისაგან და იურიდიული დეპარტამენტისგან მიღებულია ნებართვა, ინსტიტუტის საქმიანობის კომერციალიზაციის შესახებ. ვფიქრობთ, საარქივო მომსახურება გავხადოთ ფასიანი, რადგან დიდია დაინტერესება მასალით. არქივზე პასუხისმგებელ პირს, ნიკოლოზ გურგენიძეს დაევალა მოემზადებინა წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ გურგენიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა არქივში დაცული მუსიკალური ფონდის გაციფრებასთან დაკავშირებით, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესახებ. შედეგები შთამბეჭდავია: გაციფრდა სრულად არსებული აუდიო მასალები (ბაბინები, მაგნიტოფორები, გრამფირფიტები) და ხელნაწერი მასალა. ინსტიტუტს რჩება საკუთრების უფლება. საბოლოო პროდუქტი იქნება სამეცნიერო ნაშრომის და აუდიო მასალის გამოცემა, რადგან მოხდა მასალების სრული დიგიტალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური ფონდი მთლიანად დიგიტალიზებულია.

არქივზე პასუხისმგებელმა პირმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: ინსტიტუტის არქივში არსებობს ექსპედიციების ფონდი, რომელშიც თავმოყრილია მეოცე საუკუნეში ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ეთნოლოგიური ექსპედიციების მასალები (ანგარიშები, დღიურები, გრაფიკული და ფოტო მასალები). აუცილებელია, ეთნოლოგიური ექსპედიციებისა და მივლინებების დასრულების შემდეგ, დირექციაში წარმოდგენილი ანგარიშები გადაეცეს ისტორიულად ეთნოლოგიურ არქივს .

რაც შეეხება ინსტიტუტის საარქივო მომსახურების კომერციალიზაციას, ტარიფების დადგენის დროს ვიხელმძღვანელეთ საქართველოს ეროვნული არქივისათვის კანონმდებლობით დადგენილი ტარიფებით. დადგენილების მიღების შემთხვევაში, კანონი გავრცელდება ინსტიტუტის თანამშრომლებზეც იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ მოთხოვნილი მასალები გამოყენებული არ იქნება ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ ნაშრომებში. საბჭოს წევრებს სამუშაო ვარიანტის სახით, ელექტრონულად დაეგზავნათ ტარიფების ნუსხა განმარტებით ბარათთან ერთად (დანართები 2 და 3).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაიმართა მსჯელობა, გამოთქვა მოსაზრებები, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაგრძელდეს კონსულტაციები საბჭოს წევრებს შორის.

მოისმინეს:

4. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: გაცნობებთ, რომ 2024 წლიდან იცვლება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების წესი. სამომავლოდ, ინსტიტუტის დაფინანსება დამოკიდებული იქნება თითოეული თანამშრომლის სამეცნიერო საქმიანობაზე. სასურველია, კვლევის შედეგები (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომები) გამოქვეყნდეს ორგანიზაციის აფილიაციით.

ასევე ცნობად მოგაწვდით ინფორმაციას, რომ 2023 წლის 1 ივნისიდან კანონით იკრძალება ყოველგვარი ლოგოს გამოყენება, თუ არ იქნება დამტკიცებული ჰერალდიკის საბჭოს მიერ. ეს ეხება ინსტიტუტის ლოგოს გამოყენებას პუბლიკაციებისათვის.

მოგახსენებთ, რომ დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიას, როგორც მნიშვნელოვან, პერსპექტიულ სტრუქტურულ ერთეულს, სამეცნიერო საქმიანობის უფრო აქტიურად წარმართვისათვის და ახალგაზრდა კადრის მოსაზიდად სჭირდება სამეცნიერო შტატის დამატება. დავსვით შუამდგომლობა რექტორის წინაშე, რათა საშტატო განრიგში მოხდეს ცვლილება და დაემატოს მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიისათვის.

სხდომამ დაადგინა:

1. 2022 წლის სამეცნიერო სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 20 დეკემბერი, ხოლო დასრულებული სახით წლიური ნაშრომების წარმოდგენის ვადად - 2023 წლის 25 იანვარი (გარდა აღნიშნული რამოდენიმე შემთხვევისა).
2. ინსტიტუტის 2022 წლის ფინანსური საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

16. 12. 2022

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 16 დეკემბრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მიწდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

განმარტებითი ბარათი

ნებისმიერი საარქივო დაწესებულების, ან საუწყებო დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები, ისევე როგორც საარქივო ფონდების აღიცხვის, დაცვისა და შენახვის წესები რეგულირდება კანონით ეროვნული არქივის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საარქივო დაწესებულების ფუნქციონირება საკმაო ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. საარქივო ფონდების დამუშავებისა და შენახვისათვის აუცილებელია დიდი რაოდენობით საკანცელარიო საქონელი - კონვერტები და საქაღალდეები, ხშირ შემთხვევაში, მასალიდან გამომდინარე, სპეციალური ზომისა და ხარისხისასაც კი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ფონდების შექნისა და დაცვის ხარჯებს. აღარაფერს ვამბობთ საარქივო მასალების დიგიტალიზაციის პროცესებზე, რომელიც ხშირად სხვადასხვა სახის სპეციალურ სკანერების, ციფრული ტექნიკისა და კომპიუტერული მოწყობილობების შეძენას მოითხოვს. გარკვეულ შემთხვევებში კი, დამატებითი მომსახურების შეკვეთაც ხდება საჭირო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი დაწესებულება არქივის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის ცდილობს მოიპოვოს დამატებითი ფინანსური რესურსები, მათ შორის, საარქივო მომსახურებაზე გარკვეული საფასურის დაწესებით.

საკანონმდებლო ბაზა

ამგვარი მომსახურების ტარიფებს საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს მხოლოდ ეროვნული არქივისათვის (იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 506 2011 წლის 29 დეკემბერი და 2020 წლის 11 სექტემბერი საქართველოს მთავრობის დადგენილება № 575 და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე), სადაც პუქტობრივად არის გაწერილი მომსახურების სახეობები, ვადები და ტარიფები. სხვა დაწესებულებათა არქივების ტარიფიკაცია კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული.

ეროვნული არქივისათვის განკუთვნილი საკანონმდებლო აქტების გამოყენების შესაძლებლობა ინსტიტუტის მიერ

ვინაიდან კანონით ეროვნული არქივის შესახებ, ნებისმიერი ფონდშემქმნელისათვის ეროვნული არქივი არის უმაღლესი ზემდგომი ორგანო და ნებისმიერმა არქივმა მუშაობის პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ეროვნული არქივისათვის განკუთვნილი ნორმატიული ბაზით, ამ კანონის ჩვენი დაწესებულების შესაძლებლობებზე ადაპტაცია და გამოყენებაც შესაძლებელია.

საარქივო მასალების კლასიფიცირება და შეფასება

საარქივო მასალები ეროვნულ არქივში კლასიფიცირებულია საუკუნეების მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში, მასალების აბსოლუტური უმრავლესობა XX საუკუნისაა და მიუხედავად ამ მასალების სხვადასხვა სამეცნიერო მნიშვნელობისა და ღირებულებისა, ფასში სხვაობას ჩვენ ვერ მოვახდენთ. შესაძლებელია სამეცნერო საბჭომ შექმნას ერთჯერადი კომისია რომელიც მოახდენს ინსტიტუტში არსებული მასალის საეცნიერო მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაციას, მაგრამ ამ მასალებს შორის ფინანსური სხავობის დასადგენად აუცილებელია აუდიტის მოწვევა. ბუნებრივია, ამგვარი მომსახურება ფასიანია და მისი საჭიროებისა და დადებითი ეფექტის განსაზღვრა რთულია.

მოქმედების წესი და გამონაკლისი შემთხვევები

დადგენილების მიღების შემთხვევაში, ის შეეხება ყველას, მათ შორის ჩვენ თანამშრომლებსაც. გამონაკლისი იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამშრომლები მასალებით სარგებლობენ წლიური თემების შესრულების დროს, ან აქვეყნებენ სამიეცნიერო სტატიასა თუ მონოგრაფიას, რომელიც ინსტიტუტის მიერ არის გრიფმინიჭებული. სხვა სახის სამეცნიერო აქტივობების დროს ეს დადგენილება უნდა გავრცელდეს ჩვენ თანამშრომლებზეც.

გაცემის ფორმა და პირობები

მომხმარებლის მომართვის საფუძველზე, როდესაც დადგინდება მასალის გამოყენების დანიშნულება (სამეცნერო მონოგრაფიისათვის, საგამოფენო მიზნებისათვის, საწავლო რესურსად, კომერციული მიზნებისათვის და სხვა) და სიხშირე (ერთჯერადია, თუ მრავალჯერადი) გაცემის ფორმა და პირობები უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, ინსტიტუტის ადმინისტრაციასა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულების მიხედვით.

საარქივო მომსახურების ტარიფები

ნომერი	მომსახურების სახეობა	საზომი ერთეული	ფასი
	მკვლევართა მომსახურება		
1	ფონდის ტექსტური მასალის გაცემა: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს. გ) ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი ასლი (მათი არსებობის შემთხვევაში)	1 სააღრიცხვო ნომერი	ა) 3 ლარი ბ) 5 ლარი გ) უფასო
2	ფოტოებისა და ფოტოალბომების გაცნობა-დათვალიერება: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 სააღრიცხვო ერთეული	ა) 6 ლარი ბ) 8 ლარი
3	აუდიო-კინო ფონომასალების მოსმენა-გაცნობა: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 სააღრიცხვო ნომერი	ა) 3 ლარი ბ) 5 ლარი
4	გრაფიკული მასალის გაცნობა-დათვალიერება. ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	10 შესანახი ერთეული	ა) 5 ლარი ბ) 7 ლარი
	საარქივო მასალების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა		
1	ფონდის ტექსტური მასალის: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 გვერდი	ა) 1 ლარი ბ) 2 ლარი
2	ფოტონეგატივის შემთხვევაში: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 შესანახი ერთეული	ა) 25 ლარი ბ) 30 ლარი
3	ფოტოანაბეჭდის შემთხვევაში: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 შესანახი ერთეული	ა) 5 ლარი ბ) 7 ლარი
4	აუდიო-კინო-ფონო მასალა: ა) განცხადების შეტანიდან 24 საათში, ბ) გაცხადების შეტანიდან იმავე დღეს.	1 წუთი	ა) 15 ლარი ბ) 20 ლარი
5	A4 ფორმატის გრაფიკული მასალა	1 შესანახი	5 ლარი

		ერთეული	
6	A3 ფორმატის გრაფიკული მასალა	1 შესანახი ერთეული	15 ლარი
7	A2 ფორმატის გრაფიკული მასალა.	1 შესანახი ერთეული	20 ლარი
8	A1 ფორმატის გრაფიკული მასალა	1 შესანახი ერთეული	25 ლარი
9	A0 ფორმატის გრაფიკული მასალა .	1 შესანახი ერთეული	30 ლარი